თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1831150

ნომერი: AR1290420

თარიღი : 16.03.2015

გაცემის თარიღი : 16.04.2015

გაცნობის თარიღი : 24.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭიჭინაძე , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხუტა მუკბანიანი პ/ნ 27001000423
- თბილისი II ნავთლუღის დას. VII ქ. N 74

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 ივნისის №185985 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 3 თებერვალს #AR1290420 განცხადებით მომართა ხუტა მუკბანიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2012

წლის 13 ივნისის №185985 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 ივნისის №185985 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, ჭიჭინაძის ქ. №6-ში, მოქ. ვასილიოს ლაგიოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მისივე კუთვნილი შენობის რეკონსტრუქციის (კომერციული, საყოფაცხოვრებო) მიშენებით არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, აქტში ტექნიკური შეცდომის გამო არსწორად დაფიქსირდა როგორც არსებული ასევე პროექტირების შედეგად მიღებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, შესაბამისად, იგი ითხოვს სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებელში – 591.1 კვ.მ.–ის და დამხმარე ფართობის მაჩვენებელში 121.0 კვ.მ.–ის დაფიქსირებას, ხოლო პროექტირების შედეგად მიღებულ ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებელში – 655.3 კვ.მ.–ის, კომერციული ფართობის მაჩვენებელში – 405.7 კვ.მ.–ის, დამხმარე ფართობის მაჩვენებელში – 185.8 კვ.მ.–ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური ხარვეზის გასწორებასთან დაკავშირებით არის საფუძვლიანი და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–6 თავის, 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ხუტა მუკბანიანის 2015 წლის 3 თებერვალის #AR1290420 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 ივნისის №185985 ბრძანებაში, კერძოდ სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის არსებულ ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი – 591.1 კვ.მ., დამხმარე ფართობი – 121.0 კვ.მ, ხოლო პროექტირების შედეგად მიღებულ ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს საერთო ფართობი – 655.3 კვ.მ, კომერციული ფართობი – 405.7 კვ.მ., დამხმარე ფართობი –185.8 კვ.მ.;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 ივნისის №185985 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 13 ივნისის №185985 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.